დროება

სურათიბიანი დამატება

გაზეთის № 225. კვირა, 11 ოქტომბერი 1909 წ. დამატების № 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე

დრამა ერთ მოქმედებად.

ოსკარ უალდისა.

(შემდეგი*)

სალომე. საშინელია შენი თმებიც! ტალახითა და მიწით არის დაფარული!... ეკლის გვირგვინსავით გაძევს შუბლზე შენი კულული. ის შავი გველის გორგალივით გარს შემოგრტყმია, ყელზე არ მიყვარს შენი თმა! შენი ბაგე მიყვარს გატაცებით, იქონაან! ალის ფერ აშურმასა ჰგავს იგი' სპილოს ძვლისაგან აშენებულ კოშკისა! სპილოს ძვლის დანით გადაჭრილი ბროწეულია იგი! ბროწეულის ყვავილი, რომელიც ტიროსის ბაღებში გადაშლილია და ვარდზე უფრო წითელია, — ისე წითელი არ არის! შენი ბაგე უფრო წითელია, ვიდრე საწნახელში ყურძნის მწურველთა ფეხებია! უფრო წითელია, ვიდრე ტაძრის მტრედების ფეხები, რომელთაც ნაკმაზს ქურუმები უყრიან! უფრო წითელია, ვიდრე იმისი ფეხი, რომელმაც მოჰკლა ლომი და ოქროსფერი ვეფხვი შენიშნა! შენს ბაგე იმ მარჯანსა ჰგავს, რომელიც მებადურებმა ნახეს ზღვის ბინდით მოცულ ფეხერზე და მეფეთათვის შეინახეს! იგი მოაბიის მაღაროების სინგურია, რომელსაც მეფენი ართმევენ მოაბელთ! იგი სპარსეთის მეფის შვილდსა ჰგავს, სინგურით მოვარაყებულს და მარჯნის კეხით მოჭედილს! არარა არის მთელს სამყაროზე ისეთი წითელი, როგორიც შენი ბაგე! შენს ბაგეზე მაკოცნინე!...

იოქანაან. არასოდეს, დიაცო ბაბილონისავ, ასულო სოდომისავ! არასოდეს, არა, არა!

სალომე. დაგიკოცნი ბაგეთ, იოქანაან! ბაგეთ დაგიკოცნი!

ახალგ. სირიელი. მეფის ასულო! მეფის ასულო! მირსინის კონავ, ხუნდო მშვენიერო! ნუ უყურებ იმ ადამიანს, ნუ უყურებთ! მაგას ნუ ეუბნევით! მე ვერ ავიტან! მეფის ასულო, ასულო მეფისაო, ეგრე ნუ ელაპარაკებით!

სალომე. ბაგეზე გაკოცებ, გაკოცებ, იოქანაან!

ახალგ. სირიელი. აჰა!... (თავს იკლავს, სალომეს და იოქანაანის შუა დაეცემა).

ირიდიას ფარეში. ახალგაზრდა სირიელმა თავი მოიკლა! ახალგაზრდა სარდალმა მოიკლა თავი! მოკვდა ის, რომელიც ჩემი მეგობარი იყო. კეთილსუნნელებათა პატარა კოლოფი და ვერცხლის საყურე ვუძღვენი, და ეხლა თავი მოიკლა! ახ, განა წინდაწინვე არ ვამბობდი, უბედურება მოხდება მეთქი?! განა თვითონაც მაგას არ ამბობდა!? და აი, აღსრულდა კიდეც! ახ, რად არ დავფარე მთვარისაგან! გამოქვაბულში რომ დამეფარა, ვეღარ ნახავდა მაშინ იმას!

პირველი მეომ. მეფის ასულო, ეს არის ეხლა ახალგაზრდა სარდალმა თავიმოიკლა!

სალომე. ნება მომეცი, გაკოცო ბაგეზე, იოქანაან!



გრიგოლ ვოლსკი

გარდაიცვალა 5 ოქტომბერს 1909 წ.

იოქანაან. ნუ თუ არ გეშინიან, ირიდიას ქალო! განა მე არა ვსთქვი, რომ სასახლიდან სიკვდილის ანგელოზის ფრთათა ფრთხიალი მომესმა-მეთქი! არ მოფრინდა განა ის ანგელოზი?

სალომე. ბაგეზე მაკოცნინე!

იოქანაან. ქალო სიმრუისავ, არის მარტოოდენ ერთი კაცი, რომელიც შესძლებს და გიხსნის შენ! ეს ის არის, რომელზედაც მე ის არის, რომელზედაც მე გელაპარაკებოდი. წადით, ეძიეთ ისა! იგი ნავში ზის გალილეის ტბაზე და თავის მოწაფეებს უქადაგებს, მუხლთ მოიყარეთ ზღვის ნაპირას და სახელი დაუძახეთ. როცა მოვა თქვენთან, — და ის კი ყველასთან მიდის, ვინც იმის სახელს ახსენებს,—ჩაუვარდით ფეხებში და ევედრეთ, მოგიტევოთ ცოდვები.

სალომე. შენს ბაგეზე მაკოცნინე!

იოქანაან. შეჩვენებულიმც ყოფილხარ, მრუში დედის ასულო! წყეულიმც იყავ!

სალომე. გაკოცებ, გაკოცებ ბაგეზე, იოქანაან!

იოქანაან. შენი ცქერა არ მინდა! აღარ გიყურებ! შეჩვენებული ხარ, სალომე! დაწყევლილი ხარ! (ჯაში ჩაეშვება).

*) იხილე „დამატება“ № 39.

სალომე. დაგიკოცნი ბაგეს, იოქანაან! პირზე გაკოცებ, გაკოცებ!

პირველი. მეომ. გვამი სხვა ადგილს გადავიტანოთ. მმართველს არ ესიამოვნება გვამების ნახვა, გარდა იმ გვამებისა, რომელნიც თითონ დახოცა!

ეროდიას ფარეში. ის ძმად მიმაჩნდა და ძმაზე უფრო ახლო იყო ჩემთვის. პატარა კოლოფი ვუძღვენი, რომელშიაც კეთილსუნელება იყო და აქატის ბეჭედი, ყოველთვის თითზე ატარებდა ამ ბეჭედს. საღამოთი მდინარის პირას და ნუშის ხეების ქვეშ დავსეირნობდით. თავის სამშობლოს ამბავს მომითხრობდა ხოლმე. ყოველთვის მშვიდი ლაპარაკი იცოდა. მისი ხმა მწყემსის სალამურის ტკბილ ხმასა ჰგავდა! მდინარეზე ცქერა მასაც ესიამოვნებოდა. ხშირად საყვედურიც კი მითქვამს....

მეორე მეომ. მართალი სთქვით: გვამი აქედან უნდა მოვიშოროთ. მმართველმა არა ნახოს!

პირველი. მეომ. მმართველი აქ არ გამოვა. ტერასაზე არასოდეს არ გამოდის! ძლიერ ეშინიან წინასწარმეტყველი-

ანნა ჩირგაძე,
ახალგაზრდა მსახიობი ქართულ სცენისა.

სა... (შემოდის ეროდი, ეროდიას და მთელი ამალა).

ეროდი. სალომე სად არის? სად არის მეფის ასული? რატომ ნადიმზე აღარ დაბრუნდა ჩემი ბრძანებისამებრ?! აჰა! აგერ ისიც!..

ეროდია. ნუ უყურებთ! თქვენ განუწყვეტლივ იმას უყურებთ!

ეროდი. საოცარი სანახავია ამ საღამოს მთვარე! ხომ მართალია, მთვარეს საოცარი სახე აქვს? თითქო გადასავსავებული ქალია, რომელიც დადის და ყველგან მიჯნურს დაეძებს. გატიტვლებულიც არის... სულ ერთიან ტიტველაა. ღრუბელი ლამობს იმის დამალვას, მაგრამ თითონ არა სურს... მთვრალი დიაცივით დაეხეტება ღრუბლებში. დარწმუნებული ვარ, მიჯნურს დაეძებს... ხომ მართალია, რომ მთვრალი ქალივით დაეხეტება? გადასავსავებულს ქალსა ჰგავს, არა?

ეროდია. არა, მთვარე მთვარესა ჰგავს! მხოლოდ.. მორჩა და გათავდა! დავბრუნდეთ! აქ არაფერი გვესაქმება!

ეროდი. მე აქ დავრჩები. მანასია, ხალიჩა დაჰფინეთ! ჩირაღდანი აანთეთ! გამოიტანეთ სპილოს ძვლის და ებენის მაგიდები! აქ საოცარი ჰაერია... ჩემ სტუმრებთან ერთად კიდევ დავლევ ღვინოს. კეისარის ელჩებს ღირსეული პატივი უნდა ვსცეთ!

ეროდია. აქ მათი გულისთვის როდი რჩებით!?

ეროდი. დიახ, საუცხოვო ჰაერია! წადი, ეროდია! ჩვენი სტუმრები გველიან: ახ, ფეხი დამისხლტა! სისხლში დამისხლტა ფეხი! ცუდი ნიშანია, ძლიერ ცუდი! აქ სისხლს რა უნდა? ეს გვამიც? აქ რადა გდია ეს გვამი? იქნება გგონიათ, ეგვიპტის მეფე ვიყო, რომელიც არც ერთ ნადიმს არ გადიხდის ისე, რომ სტუმრებს გვამი არ აჩვენოს?! ვინ არის? მე არა მსურს, ვუყურო ამ გვამს!

პირველი მეომ. ჩვენი სარდალი გახლავთ, მეფეო! ახალგაზრდა სირიელი, რომელსაც სამი დღის წინად სარდლობა უბოძეთ!

ეროდი. მე არ მიბრძანებია მისი მოკვლა!

მეორე მეომ. თვითონ მოიკლა თავი, მეფეო!

ეროდი. რატომ? მე ხომ სარდლობა ვუბოძე?

მეორე მეომ. ჩვენ არა ვიცით-რა, მეფეო! თითონვე მოიკლა თავი!

ეროდი. საოცარი ამბავია ეს ჩემთვის! მხოლოდ რომაელი ფილოსოფები თუ იკლავდნენ თავს, ასე მგონია. არა, ტიგელინ, რომში ფილოსოფოსები თავს იკლავენ?

ტიგელინი. ისეთებიც არიან, რომ თავს იკლავენ, მეფეო! ეს სტოიკები არიან... მეტად მოუხეშავი ხალხია. გარდა ამისა, ძლიერ სასაცილონიც არიან. მე მეტად სასაცილოდ მეჩვენებიან...

ეროდი. მეც აგრედვე. თავის მოკვლა სასაცილოა!

ტიგელინი. რომში ძალიან დასცინიან! იმპერატორმა სატირა შეთხზა მათ შესახებ... და ყველგან ეხლა იმას იმეორებენ...

ეროდი. ჰა? სატირა შეთხზაო?.. საკვირველი ადამიანია კეისარი, ხელი ყველაფერზე მიუწვდება! საკვირველია ამ ახალგაზრდა სირიელის თავის მოკლა... მებრალება. დიახ, ძლიერ მებრალება: ლამაზი იყო ძლიერ. მეტისმეტად ლამაზი იყო. უსურური თვალები ჰქონდა. მახსოვს, რა რიგ უყურებდა იგი უსუსურის თვალებით სალომეს. მე მგონია, მეტის-მეტად დააცქერდა კიდეც...

ეროდია. სხვებიც მეტის-მეტად აჩერდებიან ეხლა...

ეროდი. მამა ამისი მეფე, იყო. თავის სამეფოდან მე გავაძევე. ამის დედა კი, რომელიც მაშინ დედოფალი იყო, ეხლა თქვენ მხევალად იახელით, ეროდია! ამ გვარად, იგი სტუმარივით იყო ჩვენთან და მეც სარდლობა ვუბოძე. მებრალება... რად მოიკლა თავი? მაგრამ გვამი აქ რად დაგიგდიათ? წაიღეთ აქედან! მე არა მსურს ვუყურო, წაიღეთ!... (გვამი გაიქნა) აქ ცივა. ქარი ჰქრის. ხომ ქარი ჰქრის?

ეროდია. სრულიადაც არა. აქ ქარი არა ჰქრის!

ეროდი. არა, აქ ქარი უბერავს... და ჰაერშიაც რაღაც ფრთების ფრთხიალის მსგავსი ხმა ისმის, — ეზარმაზარ ფრთების შრიალი... თქვენ არ გესმის?

ეროდია. არაფერი მესმის!

ეროდი. ეხლა აღარც მე მესმის... მაგრამ ჰო, ქარი თუ იყო. უეჭველია ქარი იყო, ეხლა გაჰქრა. მაგრამ არა: ისევ მომესმა. თქვენ არ გესმით განა?! სწორედ ფრთების ფრთხიალის ხმა.

ეროდია. გეუბნებით, არა მესმის-რა-მეთქი! თქვენ ავადა ხართ. დავბრუნდეთ!

ეროდი. მე ავად არა ვარ. თქვენი ქალი არის ავად, თქვენ ქალს აქვს ავადმყოფის შეხედულება. არასოდეს არ ინახავს ასე ფერმკრთალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფ. ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსია.

მოწაფენი სხედან არმაზის ღვთის-მშობლის ეკლესიის გალავანში.

ირ ოდ ი ა. გეუბნებით, ნუ უყურებთ-მეთქი!

ირ ოდ ი. დაასხით ღვინო! (შემოაქვთ ღვინო) სალომე, მომიახლოვდი და ჩემთან ერთად ღვინო დალიე. აქ საუცხო ღვინო მაქვს. თვით კეისარმა გამომიგზავნა. შიგ დაისველე შენი პაწია, წითელი ტუჩები და მერე მე გამოვცლი ფიალას!

სალომე. ღვინო არ მინდა, მმართველო!

ირ ოდ ი. გაიგონეთ, რა რიგ მიპასუხა თქვენმა ქალმა?!

ირ ოდ ი ა. ჩემი აზრით, სრულიად მართალია. რად უყურებთ ეგრე?

ირ ოდ ი. მოიტანეთ ხილი! (შემოაქვთ ხილი) სალომე, მომიახლოვდით და ჩემთან ერთად სჭამეთ ხილი. მეტის-მეტად სასიამოვნო სანახავია ჩემთვის ნაყოფზე აღბეჭდილი შენი პაწია კბილების კვალი. პატარად მოკმიჩეთ ეს ნაყოფი და დანარჩენს მე შევჭამ!

სალომე. არც ხილი მინდა მმართველო.

ირ ოდ ი. აი, როგორ აღზარდეთ თქვენი ქალი!?

ირ ოდ ი ა. მეც და ჩემი ქალიც მეფის ჩამომავალნი ვართ. შენ კი... პაპაშენი აქლემებს ედგა მწყემსად... ავაზაკიც იყო!

ირ ოდ ი. სცრუით!

ირ ოდ ი ა. შენც კარგად იცი, ეს მართალია!

ირ ოდ ი სალომე მომიახლოვდი, გვერდით მომიჯექ. დედიშენის ტახტს შენ დაგითმობ!

სალომე. მე დაქანცული არა ვარ, მმართველო!

ირ ოდ ი ა. ხომ ჰხედავთ, რას ჰფიქრობს იგი თქვენ შესახებ...

ირ ოდ ი. მოიტანეთ... მაგრამ რა მინდა? არ ვიცი. ახ, ახლა მომაგონდა!

ხმა იოქანან. დაჰკრა საათმა! ის, რაც ვიწინასწარმეტყველე, ახდა... ამბობს ღმერთი... დადგა ის დღე, რომელსაც მე ვამბობდი...

ირ ოდ ი ა. დაიჩუმეთ იგი! მე არა მსურს მისი ხმის გაგონება! ის კაცი მუდამ მგმობს!...

ირ ოდ ი. ეხლა თქვენ არ დაუგმიხართ. ესეც არ იყოს, იგი ძლიერი წინასწარმეტყველია.

ირ ოდ ი ა. მე არა მწამს წინასწარმეტყველები. განა შეუძლიან ადამიანს იწინასწარმეტყველოს, ხვალ რა მოხდება? ეს ხომ არავინ იცის! გარდა ამისა, იგი მუდამ შეურაცხმყოფს. მაგრამ, ვგონებ, თქვენც გეშინიანთ იმისი. დიახ, მშვენივრად ვიცი, გეშინიანთ იმისი!

ირ ოდ ი. მე მისი არ მეშინიან. მე არავისი არ მეშინიან...

ირ ოდ ი ა. დიახ, იმისი გეშინიანთ! თუ მართლაც არ გეშინიანთ, მაშ რატომ არ მიეცით იუდეველთ, რომელნიც ექვსი თვეა გთხოვენ იმას?

1 **იუდეველი.** მართალია, მეფეო! უკეთესი იქნებოდა, ჩვენთვის მოგეცათ...

ირ ოდ ი. კმარა! ჩემი პასუხი უკვე გაიგეთ! მე მაგის გაცემას ვერ დავთანახმდებით. იგი ღვთის მხილველი ადამიანია.

1 **იუდეველი.** ეგ, ეგ შეუძლებელია. წინასწარმეტყველს ილიას შემდეგ ღმერთი აღარავის უხილავს. ილიამ უკანასკნელად იხილა ღმერთი. ეხლა ღმერთი აღარ გვეცხადება. იგი იმალება. და ამიტომაც ქვეყნიერებაზე საშინელი უბედურება ტრიალებს...

2 **იუდეველი.** არც ის იცის ვინმემ, მართლა იხილა ილიამ ღმერთი თუ არა. უფრო საფიქრებელია, რომ მან მხოლოდ ღვთის აჩრდილი ნახა!

3 **იუდეველი.** ღმერთი არასოდეს არ იმალვის. იგი ყველგან და ყოველთვის გვეცხადება. ბოროტებაშიაც ისევეა ღმერთი, როგორც სიკეთეში.

4. **იუდეველი.** რა საჭიროა ეგ ლაპარაკი!! მეტად სახიფათო აზრებია! ეს აზრი ალექსანდრიიდან მომდინარეობს. იქ ბერძნულ ფილოსოფიას ასწავლიან. ბერძნები კი — წარმართები არიან, დაუცვეთავნიც კი არიან!

5. **იუდეველი.** არასოდეს არ შეიძლება იმის გაგება, თუ როგორ მოგვეპყრობა ღმერთი! გზანი მისნი დაფარული არიან! შეიძლება, ის, რასაც ჩვენ ბოროტებას ვეძახით, სიკეთე იყოს, ის კი, რაც, ჩვენის აზრით, სიკეთეა, ბოროტება იყოს!? ჩვენ არაფერი ვიცით. ყველაფერს უნდა ვემორჩილებოდეთ! ღმერთი ძლიერია. იგი რისხავს ერთს და იმავე დროს სუსტსაც და ძლიერსაც! მისთვის ყველანი თანასწორნი არიან...

1 **იუდეველი.** მართალია, ღმერთი სასტიკია. როგორც როდინში ინაყება მარცვალი, ისე ღმერთი ანადგურებს სუსტსაც და ძლიერსაც. მაგრამ იმ კაცს ღმერთი არ უხილავს. ილიას შემდეგ ღმერთი აღარავის უხილავს!

ტფ. ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსია.

მოწაფენი საგურამოში. მოწაფენი სხედან ჭავჭავაძისეულ წერა-კითხვის საზოგადოების სახლის შესავლის კიბეზე.

ირ ოდ ი ა. დაიჩუმეთ ყველანი! თავი მომაბეზრეს!

ოზურგეთში მომავალ რეალურ სასწავლებლის სახელობაზედ სეირნობის გამმართველნი.

ექვს ენკენისთვეს ოზურგეთში გაიმართა სახალხო სეირნობა მომავალ რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ.

ირ ოდი. მე გავიგე, თითქო იოქანაანი სწორედ თქვენი ილია იყოს. ასე ამბობენ...

1 **იუდეველი.** შეუძლებელია, ილიას შემდეგ სამასმა წელმა განვლო!

ირ ოდი. ზოგი რომ ამტკიცებს, ილია წინასწარმეტყველიაო?

ნაზარეველი. მე, მე ვარ დარწმუნებული, რომ ის ილია წინასწარმეტყველია!

იუდეველი. ოჰ არა, ის ილია არ არის!

ხმა იოქანაან. დადგა დღე-ღვთის დღე! მისი ფეხის ხმა მთებიდან მესმის! ის არის ქვეყნიერების მხსნელი!

ირ ოდი. ეს რასა ნიშნავს? ქვეყნიერების მხსნელიო?!

ტიგელინი. ეს ტიტულია კეისრისა!

ირ ოდი. მაგრამ კეისარი რომ არ აპირებს ურიასტანში მოსვლას?! გუშინ რომიდან მივიღე წერილი, ჩემთვის არაფერი უცნობებიათ... ესეც არ იყოს, თქვენ ხომ ზამთარში რომში იყავით, ტიგელინ, ნუ თუ არაფერი გაგიათ ამის შესახებ?!

ტიგელინი. არა, მეფეო! არაფერი გამიგია. მხოლოდ კეისრის ტიტულსა ვმარტავ. ეს ერთი ტიტულთაგანია კეისრისა!

ირ ოდი. კეისარს აქ ჩამოსვლა არ შეუძლიან: ნეკრესის ქარი აქვსო, ამბობენ, სპილოსავით დასივებია ფეხებიო. აქ სახელმწიფოებრივი მოსაზრებაც არის. ვინც რომს დასტოვებს, იგი რომს ჰკარგავს სამუდამოდ. არა, ის აქ არ ჩამოვა. დასასრულ, კეისარი ბატონია თუ მოისურვა, ჩამოვა კიდეც. მაგრამ მე არა მგონია, რომ ჩამოვიდეს.

1 **ნაზარეველი.** წინასწარმეტყველი კეისრის შესახებ კი არ ლაპარაკობს, მეფეო..

ირ ოდი. კეისარის შესახებ არ ლაპარაკობს?

1 **ნაზარეველი.** არა, მეფეო!

ირ ოდი. მაშ ვისზე ამბობს?

1 **ნაზარეველი.** მესიაზე, რომელიც უკვე მოვიდა.

იუდეველი. მესია ჯერ არ მოსულა.

1 **ნაზარეველი.** იგი მოვიდა უკვე და ყველგან სასწაულებს ახდენს!

ირ ოდია. ოხ, ახ,-სასწაულება! მე სასწაული არა მრწამს! ბევრი მინახავს!.. (ფარეშს) ჩემი მარაო!

1 **ნაზარეველი.** ის ადამიანი ჭეშმარიტად სასწაულს ახდენს! აი, მაგალითად, ერთ ქორწილში გალილეას პატარა ქალაქში მან წყალი ღვინოდ აქცია. ეს იქ დამსწრეთ მიამბეს. სრულიად განკურნა აგრედვე კაპერნაუმას კარებთან მჯდომი ორი კეთროვანი.

(შემდეგი იქნება)

პავლე დადვაძე.

წვრილი ამბავი

სტატისტიკა

გერმანულმა გაზეთებმა ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიაქციეს ერთ გარემოებას. იმათის სიტყვით ამ ბოლო დროს გერმანიაში ქალების რიცხვი მამაკაცებისას ერთი მილიონით სჭარბობსო. ამას გარდა 100 მამაკაციდან ცოლს ირთავს მხოლოდ 40 მამაკაცი. როგორც ბოლო დროის აღწერიდანა სჩანს, უცოლოების რიცხვი გერმანიაში ექვს მილიონს უდრის, გაუთხოვარ ქალებისა—რვა მილინს საინტერესო ის არის, რომ გერმანიაში ხანში შესული ქალები უფრო თხოვდებიან, ვიდრე ახალგაზრდები. 1900 წლის აღწერით 18—40 წლის ქალი ასიდან გათხოვილა 56, 18—25 წლისა. ასიდან გათხოვილა მხოლოდ 22. ესაა მიზეზიო, სწერენ გაზეთები, რომ გერმანიაში აუარებელი როსკიპი ქალია, ძალიან გავრცელებულია ვენერიული ავადმყოფობანი და ჭკუაზედ შეშლა სქესობრივ ნიადაგზე. ამ ბოლო დროს ამას ყურადღება მიაქციეს ქალთა მოძრაობის მეთაურებმა და ახალი ლოზუნგი წამოაყენეს „დედის უფლება.“

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.